ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/1

01/02/2017 1-01-17-4-201702011451

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხინოსათვის სახელის ცვლილებაზე საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 106[1]-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 12-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემურ მოწყობილის ინიციერების საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხინოსათვის ისტორიული სახელის ხინოწმინდის მინიჭებისათვის საჯარო განხილვის თაობაზე.

2.განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე იმედა ხაჯიშვილი. საჯარო განხილვა გაიმართება 2017 წლის 22 თებერვალს 12-00 საათზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარმა სპეციალისტმა (მ.მგელაძე-ცქიტიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების გამოქყვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.org.ge**, საინფორმაციო დაფაზე

და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა პირებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხინოსათვის ისტორიული სახელის ხინოწმინდის მინიჭებასთან დაკავშირებით შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ 2017 წლის 21 თებერვლის 12-00 საათამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141 პირველი სართული, ტელ: 26 79-00);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნუკრი ბეჟანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

ხელმძღვანელობა